ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა#64

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2019 წლის 4 დეკემბერს

ერთის მხრივ, წარმოდგენილი ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ინდმეწარმე ივანე კერესელიძის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ საბავშვო ბაღის განყოფილებებში შენობის ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა **(CPV50711000 კოდით)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის“ კერძოდ საბავშვო ბაღის განყოფილებებში ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღიებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება 745,00 (შვიდას ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად . 2019 წლის 10 დეკემბრამდე.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. (მიღება-ჩაბარების აქტით) დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზრაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.
8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
8.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებატა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3
საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346
მის: ქ საჩხერე, თავისუფლების ქ#3
სახელმწიფო ხაზინა
ერთიანი ანგარიში

მიმწოდებელი:

ინდმეწარმე: ივანე კერესელიძე

მისამართი: საჩხერე, სოფ.არგვეთი
საბანკო რეკვიზიტები ს.ს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი:GE88LB0112158519244000
საიდენტიფიკაციო ნომერი: 38001039216

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“
დირექტორი:

მ. გოგობერიშვილი

ინდმეწარმე:

ი. კერესელიძე

SACHKHERE UNITED KINDERGARTEN

Digitally signed by SACHKHERE UNITED KINDERGARTEN
Date: 2019.12.06 13:45:29 +03'00'